# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

№ 43 (10 456)
9 მარტი,
შაბათი,
1991 წ.
ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა საერთო-სახალხო საქმეა

### გაზეთ „ლელოს“ თანამშრომელთა მიმართვა რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს

ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მიმდინარეობს მოვლენები, რომლის ხწორი შეუფასებლობა დანაშაული იქნებოდა შთამომავლობის წინაშე, ჩრდილს მიაყენებდა იმათ ხსოვნას, ვინც საკუთარი სიცოცხლე შესწირა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. თავისუფლება ულტერნატივოა, არჩევანი არ გააჩნია, თავისუფლება ხომ დამოუკიდებლობაა, საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენაა, რაც მიზნად დაისახა საქართველოს ახალმა მთავრობამ. ჩვენი ვალია მხარში ამოვუდგეთ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ერთობლივად ვიბრძოლოთ მარწუხებისაგან თავის დახაღწევად.

რეფერენდუმი, რომელიც დანიშნულია 1991 წლის 17 მარტს მხოლოდ იმ მიზანს ისახავს, რომ თავისუფლების მოყვარე ხალხები კვლავ შებოჭოს, დააკანონოს მათი უუფლებობა.

მოგმართავთ საქართველოს ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს, ნუ მიიღებთ მონაწილეობას 17 მარტის რეფერენდუმში. როგორც ცნობილია, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში დანიშნულია რეფერენდუმი, სადაც თითოეულ ჩვენგანს უფლება ეძლევა, რესპუბლიკის მოსახლეობასთან ერთად ხმა მისცეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს არ გვესწავლება თანადგომა. მაშ, ისევე როგორც სპორტულ სარბიელზე, ერთად ვიბრძოლოთ საერთო გამარჯვებისათვის.

„ლელოს“ რედაქცია

პრეფექტი ერის კეთილდღეობის სამსახურში!

# გზა—ტაძრისკენ მიმავალი...

● ყველაზე „სპორტული“ რეგიონის პრეფექტი

● ფიზიკური კულტურა სულიერი სიჯანსაღისთვისაც გვჭირდება

● გუთნისდედასავით შევეჭიდოთ საქმეს

**პრეფექტი** ბავშვობისას რაღაც პოლიციელის, შერიფის მაგვარი პირი მეგონა — აი ისეთი, ამერიკულ კინოებსა და წიგნებში რომაა. მკერდზე აუცილებლად უზარმაზარი პრიალა ვარსკვლავი უნდა ჰქონოდა მიმაგრებული.

ინტერვიუსათვის მზადებისას ლექსიკონში ჩავიხედე: „პრეფექტი“ (ლათინური) — უფროსი, საფრანგეთში დეპარტამენტის სათავეში მდგომი თანამდებობის პირი, ზოგ ქვეყანაში — პოლიციის უფროსი“.

— პატარაობისას, გამოგიტყდებით, მეც ასე მეგონა. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე თავად გავხდებოდი პრეფექტი — ამბობს ბატონი ნიკოლოზ ხაჰაპურიძე, ბორჯომის რაიონის ახალდანიშნული პრეფექტი.

**● თქვენს დანიშვნამდე რამდენიმე ხნით ადრე, გაზეთ „ბორჯომში“ დაიბეჭდა მკითხველთა ანკეტა — „როგორი უნდა იყოს პრეფექტი?“ პასუხები საკმაოდ ერთსულოვანი იყო: „განათლებული, კეთილშობილი, ობიექტური, ჰუმანური, პატიოსანი; გამოირჩეოდეს დემოკრატიული თვისებებით; გააჩნდეს ღირსების გრძნობა; იყოს ფიზიკურად ჯანსაღი“... გვინდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ასეთი ბრძანდებით.**

— ძალზე ბევრი ღირსებაა ჩამოთვლილი და, ცხადია, საკუთარ თავზე. ვერაფერს გეტყვით. ჯობს ეს სხვებმა თქვან, თანაც მოგვიანებით. ისე კი აღვნიშნავ, რომ ფიზიკურად საკმაოდ ჯანსალი ვარ...

**● ეჭვი არ გვეპარება, რომ თავის დროზე, სპორტს თქვენც მისდევდით, ეგებ წარმატებებიც გქონდათ?**

— რომ ვთქვა, ოლიმპიური ან მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ვიყავი-მეთქი, ვინ დამიჯერებს — ასეთებს ხომ ყველა კარგად იცნობს. მე, ასე ვთქვათ, უბრალო „ფიზკულტურელ-სპორტსმენი“ გახლდით. ესაა და ეს.

**● და მაინც...**

— ბავშვობისას ჩემს მშობლიურ სოფელ ქვაბისხევში, ბორჯომიდან სულ ოციოდე კილომეტრზე რომაა, მეც ბევრს დავრბოდი, ვჭიდაობდი, ვბურთაობდი. სკოლაში მიმავალს ჩანთაში წიგნებთან ერთად ბურთი და კედები მედო. მოუთმენლად ველოდი ზამთარს. ბიჭები თხილამურებს „ზაბორებისაგან“ და კასრის კედლებისაგან ვაკეთებდით. სრიალით კარგად მისრიალებდნენ, ესაა რომ „სამაგრისები“ წამდაუწუმ გვძვრებოდა ფეხიდან. სოფლის ბიჭებმა წმინდა გიორგის ეკლესიასთან პატარა ტრამპლინიც მოვაწყვეთ. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ თხილამურებით ხტომის ჭეშმარიტი დიდოსტატი ჩვენგან საკმაოდ ახლოს — ბაკურიანის ტრამპლინზე იზრდებოდა. პირადად მე, დიდად მეამაყება, რომ კობა წაქაძე ჩვენი რაიონიდანაა. მიხარია, რომ უმცროსი წაქაძე — კახა ასე ღირსეულად აგრძელებს მამის საქმეს. ღმერთმა ქნას, ისიც დიდი ჩემპიონი გამხდარიყოს.

იხ. მე-2 გვ.

## „თქვენ გაგახარათ ღმერთმა!“

ამ სიტყვებით შეგვეხმიანა გუშინ ტელეფონით თბილისელი პენსიონერი ქალი ეკატერინე ძნელაძე. ვაქვეყნებთ მის თხოვნას.

„თქვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში წავიკითხე ქალბატონ ნინა ზუხბაია-კუპრეიშვილის წერილი, 60 წელს გადაცილებულ ქალთათვის ნარდში საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. მიიყვანეთ საქმე ბოლომდე, დამერწმუნეთ დიდ ზეიმს გვაჩუქებთ, შეგვახვედრებთ წარსულთან, იმედია მთელი საქართველო გამოგვეხმაურება“.

### ეს-ესაა შევიტყვეთ...

#### ლარი ჰოლმსის „მკვდრეთით აღდგომა“

პროფესიული რინგიდან წასვლა და რამდენიმე წლის შემდეგ უკან დაბრუნება მოდური საქმიანობა გახდა ასაკში შესულ მოკრივეთა შორის (როგორც ჩანს, ჯორჯ ფორმენის მაგალითი გადამდები გამოდგა). სამოცდაათიანი წლების მიწურულს და ოთხმოციანის დასაწყისში, პროფესიულ რინგზე გრგვინავდა მსოფლიო ჩემპიონის ლარი ჰოლმსის სახელი. 1985 წლის შემდეგ, როცა დაკარგა ტიტული, იგი, ფაქტობრივად, გაუჩინარდა და მხოლოდ ახლახან გამოჩნდა.

7 აპრილს ფლორიდას შტატის ქალაქ ჰოლივუდში ჰოლმსი შეხვდება ცნობილ მოკრივეს ტიმ „დოკ“ ანდერსონს. ეს ცნობა ამ ოთხშაბათს მიიღეს ჟურნალისტებმა ექსჩემპიონის ოფისიდან, რომელიც ისტონში (პენსილვანია) მდებარეობს.

#### ფინალისტი ტოვებს „კოპა ლიბერტადორესს“

ფავორიტი მუდამ უხალისოდ ტოვებს სარბიელს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ უძლურობას გრძნობს. გუიაკილიდან (ეკვადორი) მოვიდა ცნობა, რომ „კოპა ლიბერტადორესის“ შარშანდელი თასის ფინალისტი (ეს ტურნირი, რომელიც, ფაქტობრივად, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასს წარმოადგენს, ფეხბურთში კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შეჯიბრებაა) გუიაკილის „ბარსელონა“ წლევანდელ გათამაშებას პირველსავე ეტაპიდან გამოეთიშა. ჩილეს „კონსეპსიონთან“ შინ ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, ქულა აღმოაჩნდა, რაც შარშანდელი ფინალისტისთვის კატასტროფის შეხვედრაში მას ერთადერთი ტროფეას ნიშნავდა.

(საკუთარი ინფორმაცია).

**Vladimir Gabrichidze**

Neuss-Kaarst gleich in der 2. Runde dem Münchener Bernd Karbacher geschlagen geben.
Hierzulande feierte der hervorragende Doppelspieler dann noch einen Turniersieg beim TC Albstadt, als er den mit 20.000 Mark dotierten Brill-Cup gegen den Leverkusener Markus Gau in zwei Sätzen gewinnen konnte.



Vladimir Gabrichidze
Rangliste: UdSSR 8, ATP 273
Warsteiner Grand Prix: Platz 3

## ვლადიმერ გაბრიჩიძე— „სატელიტების“ ფავორიტი

**ყველა ცნობა სასიხარულოა, რომელიც ჩვენი სპორტსმენის წარმატების ამბავს გვაუწყებს. ეს ინფორმაცია კი ორჯერ უფრო სასიამოვნოა, ვინაიდან ქართველი ვაჟი ჩოგბურთელის გამარჯვებას ეხება. ამას კი, რა დასამალია და, მონატრებულნი ვართ.**

მაშ ასე, ინდოეთში მიმდინარე „სატელიტების“ სერიის ხუთ ტურნირში მონაწილეობდნენ ჩვენი თანამემამულენი: საქართველოს პირველი ჩოგანი ვლადიმერ გაბრიჩიძე და მისი ახალგაზრდა კოლეგა, დათო კვარაცხელია.

კვარაცხელიასათვის ეს სერია პირველი ნაბიჯი იყო პროფესიულ სარბიელზე და ამ ნაბიჯს დათო, ბუნებრივია, ფრთხილად და ინტერესით დგამდა. გაბრიჩიძე, ამ მხრივ, გაცილებით უფრო გამოცდილია. მეტსაც გეტყვით, „მასტერსის“ წინა საფეხურის ამ ტურნირებში იგი ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა და სავსებით კანონიერ შედეგებსაც მიაღწია: ერთ ტურნირში მესამე იყო, ერთში — მეორე და სამში — პირველი.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? — ახლავე აგიხსნით: ვლადიმერ გაბრიჩიძე ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიას შემდეგ პირველი ქართველი ჩოგბურთელი ვაჟია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო პროფესიონალ ჩოგბურთელთა 200-კაციან სიაში მოხვდა. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ვლადიმერ გაბრიჩიძეს ამიერიდან უფლება ეძლევა იასპარეზოს „დიდი მუზარადისა“ და „გრან-პრი მასტერსის“ სერიების შეჯიბრებებში.

გზა დიდ ჩოგბურთში ყველა მსურველისთვის ასე იწყება!

• • •

ჩოგბურთელთა ერთ-ერთ შარშანდელ უცხოურ ჟურნალში ვლადიმერ გაბრიჩიძეზე ასეთი ინფორმაცია ამოვიკითხეთ:

„საინჟინრო მეცნიერების სტუდენტმა ყურადღება მიიპყრო შარშან აუგსბურგის „სატელიტთა“ შეკრებაზე. ამავე წელს მას ხან პოლონეთში ვხვდებოდით, ხან კი ფედერაციულ გერმანიაში. გაბრიჩიძემ მაშინ რამდენიმე შეჯიბრება მოიგო როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში.

1990 წელი ვლადიმერმა დიუსელდორფის სატელიტთა ტურნირი გამარჯვებით დაიწყო. მერე კარგად ითამაშა რიმერლინგსა და ნოისკარტში, სადაც, სხვათა შორის, მიუნხენელ ბერნდ კარბაჰერს მოუგო. განსაკუთრებით სამახსოვრო იყო მისთვის წარმატება ალფშტატდში, სადაც დაიმსახურა 20 ათას მარკად ღირებული თასი“...

#### გაბრიელა საბატინი ფრთხილობს

ცნობილი არგენტინელი ჩოგბურთელი გაბრიელა საბატინი, რომელიც არა მარტო კარგი თამაშითაა განთქმული, არამედ სილამაზითაც, ყოველნაირად ერიდება საერთო გასახდელით სარგებლობას. მისი სიტყვებით, იგი არამარტო აბეზარი მამაკაცების მალულ მზერას გაურბის, არამედ, და უფრო მეტად, თავისი კოლეგების ცნობისმოყვარეობას. საბატინის განცხადებით, ჩოგბურთში, სამწუხაროდ, მომრავლდნენ ქალები გამრუდებული სექსუალური მისწრაფებებით.

#### ბორგი „პირველყოფილი“ ჩოგნით

ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი ბიორნ ბორგი რომ ბრუნდება სპორტში, ყველამ კარგად იცის. სწორედ ამის გამო ცხოვრობს იგი ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში, ჩოგბურთის კორტების გვერდით, თავის მეუღლესთან ცნობილ იტალიელ საესტრადო მომღერალ ლორედანა ბერტესთან ერთად.

სამაგიეროდ, ინფორმაცია, რომელსაც ახლა მოგაწვდით ახალიც არის და ცოტა უცნაურიც. ბორგი თამაშს განაახლებს ძველი მოდელის ხის ჩოგნით, უნდა აღინიშნოს რომ ასეთი ჩოგნით დღეს არავინ თამაშობს (ცხადია, ვინც პატივს სცემს საკუთარ თავსა და სახელს).

## თამაშები ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდება

„ლელოში“ გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების დებულების პროექტი, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მოამზადა. ამ კომპლექსური ასპარეზობის ჩატარება თავდაპირველად სეოკ-მა ითავა, მაგრამ გამოითქვა აზრი, რომ თამაშები ერთობლივად ჩაატაროს სეოკ-მა და რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა.

გუშინ დეპარტამენტისა და სეოკ-ის ხელმძღვანელობა ერთმანეთს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს თამაშებისათვის მზადებისა და ჩატარების ორგანიზაციული საკითხები. გადაწყდა დაუყოვნებლივ შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მთელ მუშაობას. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა დაევალა სეოკ-ის აღმასკომის წევრს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ვაჟა კაჭარავას. დეპარტამენტმა ორგკომიტეტს თავის შენობაში გამოუყო ბინა.

### ინფორმაცია

ამას წინათ ესტონეთის ქალაქ ნარვაში გამართულ მოკრივეთა დიდ საკავშირო ტურნირში, რომელშიც ქვეყნის 150 მოკრივე გამოდიოდა, თავი ისახელა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მეორე კურსელმა ოლეგ ბადაგაძემ, რომელმაც ოთხივე ბრძოლა მოიგო და ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა, ამასთან, სპორტის ოსტატობის ნორმაც შეასრულა.

# მზა-ტაძრისკენ მიმავალი...

**(დასასრული)**

ხომ გაგიგონიათ, ის ურჩევნია მამულსაო...

**● თქვენმა მეგობრებმა „საიდუმლოდ“ გვითხრეს, ახალგაზრდობაში ნიკო სპორტის რამდენიმე სახეობაში ვარჯიშობდაო...**

— ასე იყო სკოლაში და მოგვიანებითაც — უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლის დროს. ჯერ ფეხბურთს ვთამაშობდი, მერე ტანვარჯიშმა და კრივმა გამიტაცა, ბოლოს ჩემი „სპორტული კარიერა“ მძლეოსნობით დავამთავრე. მახსოვს, უნივერსიტეტის სპორტდარბაზში ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, ჩვენმა სასიქადულო ძალოსანმა კოტე ზაუტაშვილმა, მას შემდეგ, რაც ვერ ავწიე საკმაოდ მძიმე შტანგა, მშრალად მომიჭრა — შენ, ბიჭო, რა გეკრივება და გემძლეოსნება — ბუმბულივით შტანგა ვერ აგიწევიაო! იქვე მყოფმა მწვრთნელმა არჩილ კონსტანტინოვმა მორიდებით მიუგო ბატონ კოტეს: „მართალია, შტანგა ვერ აწია, სამაგიეროდ, ძალიან სწრაფი და სხარტია. მე გამომადგება იგი, სპრინტსა და სიგრძეზე ხტომაში ვავარჯიშებ!“ ცხადია, მესიამოვნა, თუმცა, გული მაინც ბურთისაკენ მიმიწევდა. ბავშვობიდან მცველად ვთამაშობდი და მერეც, ფიზიკის ფაკულტეტის ფეხბურთელთა გუნდში დაცვის ცენტრში გამოვდიოდი. ცნობილმა მწვრთნელმა ფარვიზ ჭელიძემ უნივერსიტეტის ნაკრებში ჩამრიცხა. მერე, ფიზიკისა და მეტალურგიის ინსტიტუტებში მუშაობის დროსაც, აქტიურად ვთამაშობდი ფეხბურთს. „მეტალურგები“ რეგულარულად ვატარებდით ინსტიტუტის პირველობას და ჩვენი № 1 ლაბორატორიის გუნდი მუდამ ჩემპიონი იყო. ჩემი კერპები, ცხადია, პირველ ყოვლისა, დიდებული მცველები გივი ჩოხელი და მურთაზ ხურცილავა იყვნენ. ძალიან მომწონდა მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ჯემალ ზეინკლიშვილი (იცით, ალბათ, რომ ისიც ბორჯომელია); მოგვიანებით ვგულშემატკივრობდი დავით ყიფიანს, მანუჩარ მაჩაიძეს, საშა ჩივაძეს. ზევრთან ახლო ნაცნობობა მაქვს. აი, ვახტანგ ჭელიძე ჩემზე ორი კლასით უკან სწავლობდა თბილისის 57-ე სკოლაში, ფალიაშვილზე, კინოთეატრ „ყაზბეგთან“ რომაა, ხოლო ელგუჯა ხუციშვილი და მე თანაკლასელები ვიყავით.

**● გეტყობათ, ყველაზე მეტად მაინც ფეხბურთი გიყვართ?**

— უკეთესი სპორტის სახეობა ამ ქვეყნად არ მეგულება. ტაშკენტის 1964 წლის მატჩის „ოქროს ბიჭები“ დღესაც ჩემი სათაყვანებელნი არიან. იმ წლებში ჩვენს გუნდში საუკეთესო ახალგაზრდობაც იყო — გოჩა ხარტიშვილი, დემურ ვეკუა, ნომალ მაისურაძე, თამაზ სახვაძე, ნოდარ ლექავა, უკვე ხსენებული ელგუჯა ხუციშვილი და სხვა. თავიდანვე დიდ პატივს ვცემდი ავთანდილ ღოღობერიძეს. ბასას თამაშს ცოტა მოვუსწარი კიდეც. აი, ლეგენდარული ბორის პაიჭაძე კი მწვანე მინდორზე საერთოდ არ მინახავს.

**● ალბათ, ფეხბურთის მატჩებს არ აცდენდით?**

— თუ თბილისში ვიყავი, ჩვენს „დინამოზე“ აბა როგორ არ წავიდოდი. როდესაც 1965 წელს ბრაზილიელები ჩამოვიდნენ მოსკოვში, გული სახლში როგორ გამიჩერდებოდა? — გადავფრინდი პელეს, გარინჩას, ჯალმა სანტოსის გუნდის სანახავად, მით უფრო, რომ ნაკრები იმ ხანად სანახევროდ ქართველი ფეხბურთელებისაგან შედგებოდა — მესხი, მეტრეველი, ბარქაია, სიჭინავა, კავაზაშვილი. დღემდე მახსოვს ეს დაუვიწყარი სანახაობა.

**● ერთი სიტყვით, ვგრძნობთ, სპორტს საკმაოდ დიდ დროს უთმობდით, არა მარტო როგორც სპორტსმენი, არამედ როგორც გულშემატკივარიც...**

— მახსოვს, ალექსანდრე მეტრეველის პირველი გამარჯვება ხარკოვში, იმხანად № 1 ჩოგან თომას ლეიუსზე, რომელმაც შეხვედრის შემდეგ პირდაპირ განაცხადა: ჩემი ხანა დამთავრდა, ახლა მეტრეველის ეპოქა იწყებაო! რა დამავიწყებს ვიქტორ სანეევის ასევე პირველ გამარჯვებას რესპუბლიკის უძლიერეს სამხტომელებთან მაშინდელ „ბურევესტნიკისა“ თუ „ლოკომოტივის“ სტადიონზე. ლამაზი, აშოლტილი, ძალზე სპორტული, 16-17 წლის ჭაბუკი იმთავითვე შეუყვარდა ტრიბუნებს. დღესაც თვალწინ მიდგას ომარ ფხაკაძის მიერ პირველი ოქროს მედლის მოპოვება სპარტაკიადაზე მოსკოვში. კარგად მახსოვს ვლადიმერ რუბაშვილის, ლევან თედიაშვილის ჭიდაობა, ლევან მოსეშვილის, ვლადიმერ უგრეხელიძის, ანზორ ლექავას, მიშა ქორქიას, ზურაბ საკანდელიძის, წარმოიდგინეთ, მისი ძმის — ასევე ნიჭიერი კალათბურთელის ანზორის თამაშიც. მასთან მე ახლო მეგობრობა მაქვს. რაკიღა კალათბურთზე ჩამოვარდა საუბარი, არ შემიძლია არ გავიხსენო ბრწყინვალე ლიტველი ოსტატი მოდესტას პაულაუსკასი. დიდად ვგულშემატკივრობ, ცხადია, ჭადრაკსაც — ნონას, მაიას, ორივე ნანას, ნინოს და მათ „დებს“, ოჯახებით ახლოს ვარ ბუხუტი გურგენიძესთან. ცხადია, არ ვაცდენდი დიდ საჭადრაკო შეჯიბრებებს, ბორჯომი თუ ლიკანი რომ მასპინძლობდა.

**● სიტყვამ მოიტანა და, ბორჯომი — საქართველოს, ალბათ, ყველაზე „სპორტული“ რეგიონი, მუდამ მასპინძლობდა სხვადასხვა შეჯიბრებებს (რომ არაფერი ვთქვათ ზამთრის სპორტზე), აქ რეგულარულად ატარებდნენ შეკრებას საუკეთესო მოჭიდავეები, ველოსიპედისტები (საგზატკეცილო), მოჭადრაკეები, მორაგბეები, მოთხილამურეები, დელტაპლანერისტები, წარმოიდგინეთ, ფეხბურთელებიც კი (ძველად თბილისის „დინამო“ და 35-ე საფეხბურთო სკოლა). ისინი, როგორც წესი, კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ აქედან და ოლიმპიადებსა თუ მსოფლიო ჩემპიონატებიდან მრავალგზის გამარჯვებული მრბოლელ მოთხილამურეთა საკავშირო ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვენედიქტ კამენსკი ტელეეკრანიდან თითო-ოროლა „სამადლობელოს“ შეაწევდა ხოლმე ქართველ მასპინძლებს. ეს იყო და ეს! მერე კვლავ იწყებოდა „ცენტრის“ ორპირობა, ასე ვთქვათ, „ხლართმით ხვლა“ — ხან ერთ ჩვენს სპორტსმენს არ დააყენებდნენ ქვეყნის მთავარ გუნდში, ხან მეორეს. რა დასამალია, ახლა უმცროსი წაქაძის წარმატებები არ ეხატებათ გულზე მავანთა და მავანთ იქ...**

— არ მიკვირს მათი ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ, მერწმუნეთ, ყველაფერს მოევლება. დრო, დროა საჭირო და, ცხადია, ქართველთა ერთიანობა.

**● ისევ კახა წაქაძეზე მინდა გითხრათ. ახეთი ნიჭიერი მხტომელი გვყავს, „ნორმალური“ ტრამპლინი კი არ გაგვაჩნია, ვგულისხმობ ბაკურიანის დიდ, 90-მეტრიან ტრამპლინს. რა მოხდა, მართლაც რა „სურამის ციხე“ გაგვიხდა იგი. მისი დაზიანებით შეფერხდა არა მარტო მაღალი კლასის მხტომელთა მზადება, არამედ დავკარგეთ ისეთი შესანიშნავი შეჯიბრება, როგორიც იყო ბაკურიანის საერთაშორისო ტურნირი საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ვინ არ ჩამოდიოდა ბაკურიანში სასპარეზოდ — ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები, თვით ირჟი რაშკა ჩეხოსლოვაკიიდან, ვოიცეხ ფორტუნა პოლონეთიდან, იუკო კასაია იაპონიიდან...**

— მართლაც სამწუხაროა, რომ უკვე მეექვსე წელიწადია, ვერ მოხერხდა ბაკურიანში მფრინავ მოთხილამურეთა რიგით მეათე, საიუბილეო საერთაშორისო ტურნირის ჩატარება.. ამას წინათ შევხვდი ჩვენს სასიქადულო მხტომელს კობა წაქაძეს, რომელიც ტრამპლინის გამო, გულისტკივილს ვერ მალავდა. მართლაცდა, თავის დროზე პირველად ჩამოწოლილი მეწყერი რომ შეგვეჩერებინა, დღეს ეს სავალალო სურათი არ გვექნებოდა. სხვათა შორის, ამ ტრამპლინს დიდძალი ვალუტის მოტანაც შეუძლია. ცხადია, ჩვენ მივხედავთ მას, გულდასმით გავერკვევით სარემონტო სამუშაოების შეფერხების ყველა საკითხში და რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით, ახალშექმნილი სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის, პირადად მისი დირექტორის, ბატონ კახი ასათიანის მეცადინეობით ადგილიდან დავძრავთ კოხტაგორასავით ერთ ადგილზე გაყინულ საქმეს. ვინ იცის, ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებასთან ერთად აქ ევროპის თასის გათამაშებაც ჩავატაროთ. შემდგომში დიდი ტრამპლინის მწყობრში შესვლასთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, ალბათ, მისთვის ტრიბუნების მოწყობაზეც.

**● წლების მანძილზე ჩიოდნენ ბაკურიანის საბაგირო გზების ცუდ მდგომარეობაზე, სავალალოა, მაგრამ ფაქტია: ისინი ჯერ სპორტკომიტეტს ეკუთვნოდა, მერე „სპეცტრანსს“ გადასცეს. ბოლოს და ბოლოს, ვის გამგებლობაში იქნება?**

— ალბათ, იმისი, ვინც მას უკეთ მოუვლის და უპატრონებს, ეკონომიკურად მომგებიანს გახდის.

**● თავის დროზე ბაკურიანში ხალხთა სპარტაკიადისათვის ააგეს სპეციალური საციგაო ტრასა, რომლითაც პრაქტიკულად... სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ აღარ უსარგებლიათ.**

— ამ ვიტრასის შესახებ მართლაც ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა. ახლა თოვლზე მხოლოდ მისი ჩონჩხი თუ ჩანს გამოხრული თევზივით. მაგრამ ეს საქმეც დაიძრა ადგილიდან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ახალი საციგაო ტრასის პროექტზე, რომელსაც, იმედია, წინამორბედის ბედი არ ეწევა.

**● ტრამპლინისა და საციგაო ტრასის გარდა, ბაკურიანში კიდევ მრავალი საქმეა მოსაგვარებელი. ზამთრის სეზონის დაწყების წინ, კარგა ხნით ადრე, „ლელოში“ ყოველწლიურად ვწერდით ამ შესანიშნავ სამთო-სათხილამურო ცენტრში მოსაგვარებელ საკითხებზე, ამა თუ იმ ბაზაზე არსებულ ნაკლოვანებებზე: იქ გათბობა არ არისო, აქ შუქია გამორთული, წყალი არ მოდის, გზაა გაფუჭებული, ტელეფონი და ტელერეტრანსლიატორი არ მუშაობსო. მაგრამ რა გამოვიდა — ყოველივე ძველებურად რჩებოდა.**

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ბაკურიანი, ეს მართლაც ღვთისაგან გამორჩეული ადგილი, დღესდღეობით არ არის გათვალისწინებული ასეთი სიმძლავრეებისათვის, ასეთი რაოდენობის დამსვენებლებისა და სპორტსმენების მიღებისათვის. რეალურად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი შესაძლებლობანი. ჩემი აზრით, აქ დღეს ბევრად ნაკლები ადამიანი უნდა მივიღოთ, თუ გნებავთ, ათჯერ ნაკლები — იქნებ 5 ათასამდე, მაგრამ თითოეულს საუკეთესო პირობები უნდა შევუქმნათ— მართლაც, ათჯერ უკეთესი. აი, მაშინ შეიძლება მისი ძალზე მიახლოებით შედარება, ვთქვათ, კორტინა დ'ამპეცოსა თუ გრენობლთან, ინსბრუკსა თუ საპოროსთან. ბაკურიანი საუკეთესო ადგილია ასთმით დაავადებულთათვის. ამის დასტურად საკმაოდ ბევრი მაგალითი გვაქვს. რაც შეეხება, მის „სათხილამურო სახეს“, ეს საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომაც იყო, რომ თავის დროზე, მისი „პატრონობა“ შემოგვთავაზა მრავალმა უცხოურმა ფირმამ — იტალიელებმა და ფრანგებმა, ამერიკელებმა და ავსტრიელებმა.

**● მოდით, ბორჯომშიც გადავინაცვლოთ. ერთ დროს, აქ ცნობილი პარკის სიახლოვეს, ჭადრაკის კლუბი იყო გახსნილი, ჩვენი გაზეთიც სიამოვნებით წერდა ამ ფაქტზე. ახლა აქ მის ნაცვლად ვიდეოსალონი გაუხსნიათ...**

— აღმაშფოთებელი რამაა. ზომებს, ცხადია, დაუყოვნებლივ მივიღებთ. მოჭადრაკეებს თავიანთ კუთვნილ თავშეყრის ადგილს დავუბრუნებთ. მართლაცდა, იყო ასეთი დრო, სპორტს უმოწყალოდ ჩაგრავდნენ. გახსოვთ, თბილისში სანაპიროზე მდებარე ძველი საცურაო აუზი, რომელშიც ნრავალი სახელგანთქმული მოცურავე, მხტომელი და წყალბურთელი აღიზარდა. ჰოდა, „ერთ მშვენიერ დღეს“, როგორც ეს ზღაპრებშია, მის ნაცვლად რესტორანი წამოიჭიმა. სხვათა შორის, აქ ფიზკულტურელთა მშვენიერი პარკიც იყო, სადაც სპორტის ბევრი სახეობის წარმომადგენლები ვარჯიშობდნენ — ძალოსნები, მოკრივეები, მაგიდის ჩოგბურთელები. სად არის იგი, განა გვაქვს საქართველოში დღეს ამგვარი ფიზკულტურელთა პარკი?! მართლაც ჩვენს რაიონში არ არის კუთხე, სპორტი რომ არ უყვარდეთ, სადაც არ შეიძლებოდეს სპორტული ბაზების მოწყობა, თუნდაც, ადგილობრივი ძალებით. ხომ თვითონ დარწმუნდით, რა გამოცოცხლება იყო ტაძრისის ტრამპლინთან, ანდა, ბაკურიანობაზე, როგორი ენთუზიაზმი იგრძნობოდა, მიუხედავად ჩვენში ასეთი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა. ამთავითვე ვფიქრობთ, „გავასპორტულოთ“ წაღვერი, ახალდაბა, ცემი და ჩვენი რეგიონის სხვა კუთხეები. რაც შეეხება ბორჯომს, აქ სპორტული ცხოვრების მთავარი ცენტრია ჩვენი ქალაქის სტადიონი, რომლის ტერიტორიაზე საკმაოდ კარგი საცურაო აუზიც გვაქვს. სხვათა შორის, აქვე გვინდა წყალბურთის სექციაც გავხსნათ. ახლა სტადიონზე ახალ სასტუმროს ვაშენებთ. აქ გვექნება თანამედროვე სპორტული დარბაზიც. ვფიქრობ, რომ ბოლოს და ბოლოს, გამოვძებნით სახსრებს სპორტული კომპლექსის დამთავრებისათვის. ერთია გასათ-



ნიკოლოზ ხაჰაპურიძე

ვალისწინებელი: უკანასკნელ წლებში ჩვენ რატომღაც გავერთეთ გრანდიოზული მშენებლობით, აი, ეგრეთ წოდებული, მცირე არქიტექტურა კი დაგვავიწყდა. ზოგჯერ ასეც ხდება: გვაქვს კარგი სპორტული ბაზები, არავითარი მუშაობა კი არ ტარდება. ამას წინათ ვიღაცამ მითხრა, რამდენჯერ გამივლია მატარებლით ზაფხულსა თუ ზამთარში ბორჯომის № 2 ჩამომსხმელი ქარხნის წინ და არასოდეს მინახავს მის სპორტულ მოედნებზე (აქვეა საცურაო აუზიც) ვინმე ვარჯიშობდეს ან ასპარეზობდესო. ეს, მართლაც ასეა. ამიერიდან შევეცდებით აქ სურათი შეიცვალოს.

**● ბორჯომის ქუჩებში გავლისას, შევამჩნიეთ, რომ რუსთაველის მთავარ მაგისტრალთან ერთად, ახალი სახელები გაჩნდა — თამარ მეფის, გიორგი საააძის, გრიგოლ რობაქიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, მერაბ კოსტავას, 9 აპრილის, თენგიზ ზეინკლიშვილის...**

— საქართველოს მიწა-წყალზე ქალაქებსა და ქუჩებს ქართული სახელები უნდა ერქვას. გვეყო „ლენინობა“, „კალინინობა“, „კიროვობა“, თუ გნებავთ, „ორჯონიკიძეობაც“. სხვათა შორის, ახალ სახელებს ჩვენ სტიქიურად კი არ ვარქმევთ, — ვეკითხებით ხალხს, მეტწილად ძველ ბორჯომელებს, რაიონში ჯერ კიდევ შემოგვრჩა თითო-ოროლა რევოლუციამდელი ადამიანი. ალბათ, ადგილობრივ გაზეთში მკითხველთა კონკურსს ჩავატარებთ ჩვენი სტადიონისთვის შესაფერისი სახელის შესარჩევადაც.

**● მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების მნიშვნელობაზე რას გვეტყოდით?**

— რა დასამალია, ერის ფიზიკური მომზადების დონე არასახარბიელოა. აი, ცალკეული ტიტულიანი სპორტსმენები გვყავს, მაგრამ მასობრივად სპორტს, ფიზკულტურას, ვიყოთ გულწრფელნი, არავინ მისდევს. გაიხსენეთ, ერთ დროს პოპულარული „მშთ“, ანდა ლოზუნგი „ყოველი მესამე — ფიზკულტურელი“, თანრიგოსანთა და ფიზკულტურელთა რიცხვის ყოველწლიური ზრდა — ყოველივე ეს აშკარა სიყალბე და თავის მოტყუება იყო. ჩვენი ცხოვრების მანკიერება ფიზკულტურასა და სპორტსაც ზომაზე მეტად შეეხო. განა შეიძლება, აქეთ ესა თუ ის საქმე და პროფესიონალიზმი არ ჩააქსოვო მასში? ასეა, უპირველეს ყოვლისა, სპორტშიც. მავანნი იტყვიან, რა დროს ფიზკულტურა და სპორტია — ქვეყანა დაღუპვის პირასაა მისული. სწორედ რომ დღეს უფრო მეტად სჭირდება ჩვენს ერს სულით და სხეულით ძლიერნი. ხომ ხედავთ, რამდენი ნარკომანი გვყავს, როგორ გახშირდა მკვლელობა. წელს ტაძრისი ვანსენებთ. ჯანსაღად, რა გაბედულად, რა სპორტული ჟინით ეშვებოდნენ სათხილამურო ტრამპლინიდან 12-14 წლის ბიჭები. ისინი არასოდეს გახდებიან ნარკომანები, არასოდეს ჩასცემენ დანას ადამიანს. მაშინ მათ სხეულში, მათ გულში, ვაჟკაცური, რაინდული სული ჩაიდო. მჯერა, რომ ყოველივე მათგანი პირდაპირი გზით გავა ცხოვრების დიდ შარაზე, მავნე, მიხვეულ-მოხვეულ სვლას არ იკადრებს. ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი ჩვენს მომავალ თაობას (როგორ არ მინდა, ეს არაფრისმთქმელ, ლიტონ სიტყვებად ჟღერდეს!). ჩვენი ხვალინდელი დღის, ჩვენი საქმის ბატონ-პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყოთ. თავადვე უნდა ვირჩინოთ საკუთარი თავი და ვაშენოთ დიდი საქართველო. მოღვაწეობის ახალ რელსებზე უნდა გადავიდეთ ცხოვრების ყველა სფეროში დაუყოვნებლივ, მეტი კონტაქტები დავამყაროთ უცხოეთთან, პირველ ყოვლისა, ტრადიციულად კულტურულ, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ჭეშმარიტი ბიზნესმენები უნდა გავხდეთ (ამ ცნების საუკეთესო გაგებით). ცხადია, ყოველმხრივ უნდა შევინარჩუნოთ პატიოსნება, ქართველობა.

**● თქვენი ბავშვები თუ მისდევენ სპორტს?**

— ნინო 10 წლისაა, არჩილი 9 წლისა ხდება. სპორტულ სექციაში ორივე დადის — სამთო-სათხილამურო სკოლაში ვარჯიშობენ. ძალიან უხაროდათ, როდესაც გუდაურში პირველად წაიყვანეს შეკრებაზე. მაგრამ, რა დასამალია, ვატყობ, რომ მათ და მათ თანატოლებს ისეთი ენთუზიაზმი არა აქვთ, ჩვენ რომ გვახასიათებდა. იქნებ, ეს, ეგრეთ წოდებულმა, სალონურმა ცხოვრებამ მოიტანა — ხომ იცით ტელევიზია, ვიდეო, კომპიუტერები. მაგრამ სპორტს თავს მაინც არ დავანებებინებ. ცხადია, მინდა, პირველ რიგში, კარგი ქართველები გაიზარდონ, მაგრამ ფიზიკურადაც ხომ ძლიერნი უნდა იყვნენ. ჩემპიონები თუ არა, კარგი სპორტსმენები და, კუნთმაგარი ფიზკულტურელები გამოვიდნენ.

**● ვიცით, რომ დღესაც არ „ეშვებით“ სპორტს — საქართველოს სათხილამურო ასოციაციის წევრი ხართ, თუმცა, ალბათ, მომავალში ტრადიციულად, ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელს, რესპუბლიკური ფედერაციის თავკაცადაც აგირჩევენ?**

— ფედერაციისა არ ვიცი, მაგრამ, ზემოხსენებულ ასოციაციაში ნამდვილად დიდად ენერგიული ენთუზიასტები შეიკრიბნენ. ჭეშმარიტი პატრიოტები არიან, ძალიან უყვართ თხილამურები და დიდი გეგმებიც აქვთ. ეჭვგარეშეა, რომ ასოციაცია ყურადღებას არ მოაკლებს თოვლიან რეგიონებს — გუდაურს, მესტიას, თიანეთს, დუშეთს, ცხადია, ბაკურიანს...

**● გავიგეთ, რომ ბაკურიანში ეკლესიას აშენებთ...**

— თუ რწმენა არა გაქვს, ვერც ქვეყნად იცხოვრებ კაცურად და ვერც რაიმე კეთილს გააკეთებ. ეკლესიით, რწმენით უნდა დავიწყოთ ყოველივე, ვფიქრობ, რომ ბაკურიანში ტაძრის აგება ჭეშმარიტად შესანიშნავი, დიდი პატრიოტული საქმეა. იგი აღიმართება ყოფილი „მზის სხივის“ სანატორიუმის ტერიტორიაზე. უკვე ვაკურთხეთ ადგილი...

**● ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, 47 წლის პრეფექტს, მართლაც, ძალიან დიდი საქმიანობის „ველი“ გიდევთ წინ...**

— „ველისა“ რა მოგახსენოთ, ჩვენი რაიონივით, მთაგორიანი ასპარეზი უფრო ბევრია, მუშაობის პირველი დღიდანვე ვიგრძენი, რომ ეს თანამდებობა ძალზე საპატიო და საპასუხისმგებლოა. არაფრის მთქმელი გამოსვლებისა და ყალბი ლოზუნგების დრო წავიდა, ადგილობრივი „პატარა მეფეებიც“ ჩაბარდა ისტორიას. ნამდვილ საქმეს უნდა მოვკიდოთ ხელი, შევეჭიდოთ გუთნისდედასავით. უქნარებსა და თვალში ნაცრის შემყრელებს არ დავინდობთ. მერწმუნეთ, ახალი ხელისუფლება კარგად გაარკვევს, ვინ ვინ არის, ვის საქმიანობას მივყევართ ქართველნი დიდებული ტაძრისაკენ.

ესაუბრა **ოთარ ნოზაძე.**

**ნუგზარ ქარელის ფოტო.**

გაზეთ „ლელოს" რედაქციას

# შენიშვნა ერთი უზუსტობის გამო

1991 წლის 19 თებერვლის გაზეთ „ლელოში" სათაურით: „ქართველ ქალთა მხედრული ტრადიციები" და ქვესათაურით: „ეს ჩვენი ისტორიაა", ამ წერილის ავტორი, ბატონი თამაზ ქიქავა, დასაწყისშივე წერს, რომ გიორგი სააკაძის მეუღლე რუსუდანი იყო შეუდრეკელი მანდილოსანი, ცხენოსნობასაც კარგად იყო დაუფლებული და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

„ნოსტედან თავადთაგან დევნილი გიორგი სააკაძე, ცოლშვილით, მცხეთის ძველ ხიდს მიხდგომია. აპრილი გახლდათ და ადიდებული მტკვარი ავბედითად მიამღვრევდა მრისხანე ტალღებს. რუსუდანმა ქმრისა და მხლებელი ამალის თვალწინ, აზვირთებული მდინარე ცხენზე ამხედრებულმა გადალახა".

ძალიან მაინტერესებს თამაზ ქიქავამ ეს ეპიზოდი თვითონ შეთხზა, თუ რომელიმე მწერლის ან ისტორიკოსის ნაწარმოებიდანაა ამოღებული. და თუ ეს ასეა, კარგად გვქონია საქმე, თუ ასეთი ისტორიკოსები და მწერლები გვყავს.

ისე კი მინდა შევახსენო ბატონ თამაზ ქიქავას, რომ ადამიანმა ამას არ უნდა მოჰკიდოს ხელი და არ გააკეთოს ის საქმე, რაც არ იცის.

ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, რომ გიორგი სააკაძეს თავის სიცოცხლის მანძილზე ერთი მეუღლე ჰყავდა, რომელმაც ღირსეული მეგობრობა გაუწია ქართველი ერის ამ სწორუპოვარ დევგმირს და რომლისგანაც მას 8 შვილი ჰყავდა — 5 ვაჟი და 3 ქალი. და ეს იყო არა ვინმე რუსუდანი, არამედ დიდი ფეოდალის არაგვის მრისხანე ერისთავის ნუგზარის ქალიშვილი მარეხი.

გიორგი სააკაძის მეუღლე ეს ისტორიული პირია და არავის არა აქვს უფლება, ნათლიის როლში გამოვიდეს და რა სახელიც მოეწონება, ის დაარქვას. მით უმეტეს, ისეთ ადამიანს, რომელსაც პრეტენზია აქვს თავისი წერილი რესპუბლიკურ გაზეთში გამოაქვეყნოს. (ავტორის სტილი დაცულია).

**კარლო სიხარულიძე,**
ოზურგეთის რაიონი, სოფ. ბახვი.

# პატივცემულო ბატონო კარლო!

„ლელოში" გამოქვეყნებული ჩემი წერილის შესახებ გამოთქმულ შენიშვნებზე აი, რა შემიძლია გიპასუხოთ:

არსებობს წყარო, დოკუმენტი, რომ უსულგულო მეფე-მთავართაგან წავკის-ნოსტედან დევნილმა გიორგი სააკაძემ ცოლ-შვილთან და მხლებლებთან ერთად, ღამით ცხენდაცხენ გადალახა ადიდებული მტკვარი მცხეთის ძველი ხიდის მახლობლად.

აი, რას სწერს ამის შესახებ ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი თავის ნარკვევში — „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება":

„მოურავი არ შეუშინდა მცხეთის ხიდის დასაცავად დაყენებულ 60 კაცისაგან შემდგარ რაზმს, გული გაუმაგრა ცოლს უფალი მაცხოვრის სახელით, გადასწერა ყველას პირჯვარი და პირველმა გადაუშვა თავისი ცხენი მდ. მტკვარში მეორე ნაპირზე გასაცურავად. მას მიჰყვა ცოლი და ყველა მხლებელი. ხიდის დამცველებმა ვერ შეამჩნიეს მოურავი და მისი ოჯახი, რომელნიც მცხეთის ტაძრისაკენ გაეშურნენ უფალ-მაცხოვრისათვის მადლობის შესაწირავად. ბედნიერი, მშვიდობიანი გზის სამადლობლად ოჯახმა ტაძარს 60 მარჩილად ღირებული ოქროს თასი შესწირა. არსებობს გადმოცემა, რომ მდინარე მტკვარში გაცურვამდე, რაც ივნისში მეტად სახიფათო იყო, მოურავი ცოლს შეეკითხა: ხომ არ გეშინია ადიდებული მდინარისაო, „განა შეიძლება მოურავის ცოლს ეშინოდეს?" — უპასუხა თურმე ცოლმა და, როგორც მითოლოგიურმა ამორძალმა, თამამად შეაგდო ცხენი წყალში, მარჯვედ გაჰკვეთა მტკვრის მღვრიე ტალღები". (გვ. 22).

პლატონ იოსელიანის ამ მონათხრობს იმეორებს მკვლევარი ჯანსუღ ღვინჯილიაც თავის წიგნში: „გიორგი სააკაძის პიროვნება".

„გიორგი სააკაძესა და მის მეუღლეს შვიდი შვილი ჰყავდათ (ყოველ შემთხვევაში წყაროებში მეტი არ ჩანს). აქედან, სამი ქალი იყო და ოთხი ვაჟი. ვაჟებიდან უფროსი ავთანდილი იყო, შემდეგ პაატა, იორამი და დავითი. (გვ. 137) ჩემთვის ეს ცნობილია, ბატონო კარლო, წყაროსაც მიგითითებთ, მაგრამ რად დაგჭირდათ სააკაძის შვილების ხსენება, არ ვიცი. ეს ხომ არ შეადგენდა ჩემი წერილის მიზანს...

ახლა, რაც შეეხება გიორგი სააკაძის მეუღლის სახელს. მკვლევარ გივი ჯამბურიას თავის ნარკვევში — „გიორგი სააკაძე", მითითებული აქვს, რომ სააკაძის მეუღლეს, ნუგზარ არაგვის ერისთავის ასულს სახელად თითქოს მარეხი რქმევია. მაგრამ მეცნიერი იქვე დასძენს: შესაძლოა ეს მარეხი გიორგი სააკაძის მეუღლე იყოსო. აბსოლუტურად გადაჭრით ამ სახელის შესახებ არაფერს ამბობს. აბა ნახეთ, იქვე რას სწერს იგი (გვ. 39.) „სახელი მარეხი არც ერთ მწერალს არა აქვს ნახმარი მხატვრულ ნაწარმოებებში — არც ანა ანტონოვსკაიას, არც სიმონ ქვარიანს და არც სხვას ვინმეს. ყველას რუსუდანად ჰყავს მოხსენიებული. რუსუდანს ვიცნობთ აგრეთვე მიხეილ ჭიაურელის ფილმიდან, რომლის კონსულტანტი გახლდათ აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. მეც ლიტერატურული ტრადიციისამებრ სახელი რუსუდანი ვიხმარე..."

ვფიქრობ, დავაკმაყოფილე თქვენი ცნობისმოყვარეობა.

პატივისცემით **თამაზ ქიქავა.**

ევროპის ჩემპიონატი: ცოტა რამ ისტორიიდან

# „იტალიელთა ს[illegible] თავგადასავალი"

**ევროპის** თასის თამაშებს 1966-68 წლებში, უეფა-ს საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ეწოდა კონტინენტის ჩემპიონატი.

ამ პირველობაში მონაწილეობა მიიღო 31 ქვეყნის ნაკრებმა გუნდმა. ისინი გეოგრაფიული პრინციპით გაანაწილეს. შეიქმნა 8 შესარჩევი ჯგუფი. მათი შემადგენლობა ასეთი იყო: I ჯგუფი — ესპანეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, თურქეთი; II ჯგუფი — ბულგარეთი, პორტუგალია, შვეცია, ნორვეგია; III ჯგუფი — სსრკ, საბერძნეთი, ავსტრია, ფინეთი; IV ჯგუფი — იუგოსლავია, გფრ, ალბანეთი; V ჯგუფი — უნგრეთი, გდრ, ჰოლანდია, დანია; VI ჯგუფი — იტალია, რუმინეთი, შვეიცარია, კვიპროსი; VII ჯგუფი — საფრანგეთი, ბელგია, პოლონეთი, ლუქსემბურგი; VIII ჯგუფი — ინგლისი, შოტლანდია, უელსი, ჩრდ. ირლანდია.

ჯგუფებში გამარჯვებული 8 გუნდი მეოთხედფინალში (თამაშები მიმოსვლით ჩატარდა შინ და სტუმრად) ასე დაწყვილდა: იუგოსლავია-საფრანგეთი 1:1, 5:1; იტალია-ბულგარეთი 2:0, 2:3; სსრკ-უნგრეთი 3:0, 0:2; ინგლისი-ესპანეთი 1:0, 2:1.

ჩემპიონატის ნახევარფინალები და ფინალი ჩატარდა იტალიაში. პირველი ნახევარფინალი — იტალია-სსრკ 0:0, მატჩი გაიმართა ნეაპოლში. თამაშის ძირითადი დროის დამთავრების შემდეგ დამატებითი დრო ან პენალტების სერია არ დანიშნულა. მოეწყო კენჭისყრა. ფინალში იტალია გავიდა. მეორე ნახევარფინალი — იუგოსლავია-ინგლისი 1:0, ეს თამაში გაიმართა ფლორენციაში. ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები ინგლისელებმა მოიპოვეს, რომლებმაც რომში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს სსრკ-ს ნაკრები.



სახელგანთქმული დინო ძოფი

ფინალური მატჩი იტალია-იუგოსლავია 1:1 (0:1, 1:0, დამატებითი დრო 0:0), შეხვედრა გაიმართა რომში, სტადიონ „ოლიმპიკზე", 1968 წლის 8 ივნისს თამაშს დაესწრო 100.000 მაყურებელი. გუნდების შემადგენლობა: იტალია — ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ფერინი, გვარნერი, კასტანო, დომენგინი, იულიანო, ანასტაზი, ლოდეტი, პრატი. მწვრთნელი — ფ. ვალკარეჯი.

იუგოსლავია — პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, ჰოლცერი, პაუნოვიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, აციმოვიჩი, ტრივიჩი, პეტკოვიჩი, მუსემიჩი, ჯაიჩი. მწვრთნელი — რ. მიტიჩი. მსაჯები: დინსტი (შვეიცარია), რუმენჩევი (ბულგარეთი), მენდებილი (ესპანეთი).

თამაში მეტად საინტერესოდ წარიმართა. იტალიელებმა ვერაფერი მოუხერხეს იუგოსლაველთა დაცვას, მოხდა პირიქით. ჯაიჩის გოლის შემდეგ (39-ე წთ.) სტუმრები დაწინაურდნენ, ამ გოლის გაქვითვა იტალიელებმა მხოლოდ თამაშის ბოლოს შეძლეს, დომენგინი (81 წთ.). გამარჯვებული დამატებით დროშიც ვერ გამოვლინდა. საჭირო გახდა განმეორებითი ფინალური შეხვედრის ჩატარება, რომელიც 10 ივნისს გაიმართა რომში, ისევ ოლიმპიურ სტადიონზე, 80.000 მაყურებლის თანდასწრებით. იუგოსლაველთა შემადგენლობაში ცვლილებები უმნიშვნელო იყო — პეტკოვიჩი ხოშიჩით შეცვალეს. იტალიელთა მწვრთნელმა ფ. ვალკარეჯიმ „სასტარტო" შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი გამოიყვანა. ფერინის, კასტანოს, იულიანოს, ლოდეტის და პრატის მაგივრად მოედანზე გამოვიდნენ როსატო, სალვადორე, მაცოლა, დე სისტი და ლ. რივა. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების გამოჩენამ შესამჩნევად გააძლიერა იტალიელთა თავდასხმა, რამაც ნაყოფი გამოიღო. თამაში იტალიელთა სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა. უკვე პირველ ნახევარში გადაწყდა ევროპის ჩემპიონის საკითხი. იტალიამ გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. გოლები გაიტანეს: ლ. რივამ (მე-12 წთ), პ. ანასტაზიმ (31 წთ). მატჩს სჯიდნენ: მენდებილი (ესპანეთი), კამპოსი (პორტუგალია), კრნავეკი (ჩეხოსლოვაკია).

ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირები გახდნენ: ლ. რივა (იტალია) — 7 გოლი, ბ. ჩარლტონი (ინგლისი) და ი. ფარკაში (უნგრეთი) 6-6 გოლი.

**მიხეილ საბახტარიშვილი,**
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### 7 ჩემპიონი... მეორე ლიგაში!

საყოველთაოდ ცნობილია, ინგლისური საფეხბურთო კლუბების მაღალი კლასი. ამასთან, ცხადია, კურიოზია, რომ ქვეყნის პირველობაზე მეორე ლიგაში ახლა თამაშობს ინგლისის 7 ყოფილი ჩემპიონი! აი ისინიც: „ბლეკბერნი" (1912 და 1914 წლების ჩემპიონი), „იფსვიჩ თაუნი" (1962), „ნიუკასლ იუნაიტედი" (1905, 1907, 1909, 1927), „პორტსმუტი" (1949, 1950), „შეფილდ უენსდეი" (1903, 1904, 1929, 1930) „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (1920) და „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" (1954, 1958, 1959).

მეორე ლიგაში, შოტლანდიელ, უელსელ და ირლანდიელ ფეხბურთელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არაერთი უცხოელიც თამაშობს, ასე, მაგალითად, ლონდონის „ვესტჰემ იუნაიტედში" გამოდის ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მეკარე მიკლოშკო, „სუინდონში" — ოგვენტინის ნაკრების წევრი ლორენცო; ამავე გუნდს კი განთქმული არგენტინელი არდილესი წვრთნის. „ბრაიტონში" თამაშობენ საბჭოთა ფეხბურთელები: გოცმანოვი და ჩერედნიკი, „ბლეკბერნში" — ირლანდიის ნაკრების ორი წამყვანი მოთამაშე: მორანი და სტეპლტონი. „ჩარლტონ ატლეტიკში" გამოდის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ყოფილი ვარსკვლავი კრუკსი, „ვესტჰემ იუნაიტედში" — შოტლანდიის ნაკრების სამი მოთამაშე: მაკავენი, დევონშირი და მარტინი. „ვულვერჰემპტონ უონდერერსში" თამაშობს ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი სტივ ბული. საინტერესოა, რომ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის წინ მას ინგლისელი ჟურნალისტები „სამშობლოს მხსნელსაც" კი უწოდებდნენ, მაგრამ, აი, დაიწყო შეჯიბრება და თავი ვერაფრით გამოიჩინა (ეს გამოუცდელობით ახსნეს). „შეფილდ უენსდეის" ორი კარგად ცნობილი ოსტატი ჰყავს: 36 წლის ტრევორ ფრენსი, ნაკრების ყოფილი მოთამაშე, იტალიურ „სამპდორიასა" და „ატალანტაში" რომ გამოდიოდა და ირლანდიის ნაკრების წევრი შერიდანი, ცნობილი სახელები არც „ნიუკასლს" აკლია — შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი ეიტკენი, ამავე გუნდის მოთამაშე მაკგი („აბერდინში", „ჰამბურგერ შპორტფერაინსა" და „სელტიკში" გამოდიოდა). „სუინდონს" ჰყავს ირლანდიელი გალვინი, 40 წლის შოტლანდიელი დოჰერტი, ხოლო „უოტფორდში" გამოდის აშშ-ის ნაკრების მეკარე მეოლა.

### რობსონი გუნდში რჩება

ინგლისის პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ბრაიან რობსონი ტოვებდა „მანჩესტერ იუნაიტედს", სადაც არაერთი სეზონი გაატარა. აქ იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ ივნისში რობსონს გუნდთან ხელშეკრულება უთავდება.

რობსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" დატოვებას არ აპირებს და ახალ ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.



### გამონაკლისის სახით

მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაციებმა თავისებური წინადადებით მიმართეს სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციას.

საქმე ის არის, რომ წლეულს, ივლისში, ჩილეში ტარდება სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. კანადელები და ამერიკელები, გასაგებია, ამ რეგიონს არ განეკუთვნებიან, მაგრამ სთხოვენ ორგანიზატორებს გამონაკლისის სახით დაუშვან შეჯიბრებაში.

### ბილარდო — სკოლის დირექტორი

მალე არგენტინაში მუშაობას დაიწყებს ფეხბურთის ეროვნული სკოლა, სადაც თავს მოუყრიან ქვეყნის ყველაზე ნიჭიერ ჭაბუკ ფეხბურთელებს. არგენტინელები თვლიან, რომ სწორედ ამ სკოლამ უნდა მოამარაგოს ფეხბურთელებით ქვეყნის სხვადასხვა ეროვნული ნაკრებები.

სკოლის დირექტორად დაინიშნა ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კარლოს ბილარდო.

● **ინგლისში** გამოცხადდა, რომ ცნობილი კლუბი „ტოტენჰემ ჰოტსპური" აპირებს გაყიდოს თავისი ორი საუკეთესო ფეხბურთელი: პოლ გესკოინი და ჰარი ლინეკერი. „ტოტენჰემის" საერთო ვალი 18 მილიონი გირვანქა სტერლინგია. ამ ორი ფეხბურთელის გაყიდვა კლუბს განზრახული აქვს 10 მილიონ დოლარად. პ. გესკოინისა და ფ. ლინეკერის შესყიდვა სურს იტალიის რამდენიმე ცნობილ კლუბს.

● **იტალიაში** 1993-94 წლების საფეხბურთო სეზონიდან პირველი და მეორე დივიზიონების გათამაშებებს მოემსახურებიან მხოლოდ პროფესიონალი არბიტრები. მათთვის დაწესებულია შესაბამისი ნორმატივები. მსაჯები ვალდებულნი იქნებიან გამოცდები ყოველკვირეულად ჩააბარონ. მათი ხელფასია 50-დან 100 მილიონ ლირამდე (დაახლოებით 50-100 ათასი დოლარი) წელიწადში გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

იტალიის ფედერაციამ გადაწყვიტა, აგრეთვე, წლეულსვე დააწესოს ყოველკვირეული დოპინგ-კონტროლი ჩემპიონატში მონაწილე ყოველი მატჩის 2-2 ფეხბურთელისთვის თითოეული კლუბიდან.

● **ცნობილი** მექსიკელი ფეხბურთელი უგო სანჩესი, რომელიც ამჟამად მადრიდის „რეალში" გამოდის, უკმაყოფილოა თავისი კლუბის წლევანდელი შედეგებით. „რეალთან" კონტრაქტი უგო სანჩესს წლეულს, 30 ივნისს, უთავდება. ფეხბურთელმა გულახდილად განაცხადა, რომ ალბათ აღარ გააგრძელებს კონტრაქტს თავის ძველ კლუბთან და ახალ ვარიანტს აირჩევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისაც კარგი მშვილდი ჰქონდა...

**საქართველოს** რესპუბლიკურ ტურნირს მშვილდოსნობაში მეტი ინტერესი რომ ჰქონოდა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა სომეხი და აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც მოიწვიეს, მაგრამ მოწვეული სტუმრები შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ. ასპარეზობისათვის, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესმა მშვილდოსანმა მოიყარა თავი, გამონაკლისს ნატო ნასარიძე და ხათუნა ქვრივიშვილი წარმოადგენდა. ისინი ეშერაში იმყოფებიან, სადაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

ვაჟებს შორის სასტარტო წრეში გაიმარჯვა სერგო გათიკაევმა (ვ. ლეკვეიშვილი, თბილისი). მან ოთხი დისტანციის ჯამში (90, 50,50 და 30 მეტრზე) 1300 ქულა დააგროვა, რითაც საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა ამით თავისი ძველი რეკორდი გააუმჯობესა.

ფინალურ სროლებში ოთხივე ეტაპზე კვლავ სერგო გათიკაევმა იმარჯვა. მან 326 ქულა დააგროვა, საერთოდ კი, 1309 ქულით I ადგილი დაიკავა და შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

მეორე ადგილზე გავიდა დავით ლეკვეიშვილი („მართვე", თბილისი), მესამეზე — თამაზ ბასილაძე („შევარდენი" აჭარა).

ქალთა შორის თავიდანვე დაწინაურდა თბილისელი სულიკო თოფურია. მან გათიკაევის მსგავსად მოიგო მეორე წრის ოთხივე ეტაპიც და საბოლოოდ ჩემპიონობა მოიპოვა (1255 ქ), მეორე ადგილზე გავიდა მარინე მეგრელიშვილი, მესამეზე — ლილი სტრენგისი. უნდა იქვას, რომ ლილი სტრენგისი სპორტის ამ სახეობაში დებიუტანტია. იგი ადრე ნიჩბოსნობას მისდევდა და სულ სამი თვეა, რაც მშვილდოსნობაში ვარჯიშობს. ასე რომ, მესამე ადგილი მისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: **ვაჟები.** 1. თბილისი-I —3683 ქ. 2. აჭარა — 3540, 3. თბილისი-II — 3375. **ქალები.** 1. თბილისი-I — 3589, 2. თბილისი-II — 3401, 3. აჭარა — 2379.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ლეკვეიშვილმა აღნიშნა, რომ მონაწილეთა საერთო შედეგი მაღალი იყო, მათ სრულად გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები, მაგრამ ტურნირის დონე უფრო უკეთესი იქნებოდა, ქართველ მშვილდოსნებს საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ბაზები და ინვენტარი რომ ჰქონდეთ, მით უმეტეს, რომ იმპორტული იარაღის გარეშე რაიმე დიდ წარმატებაზე ფიქრიც კი დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია. ამჯერადაც ასე იყო: ვისაც კარგი იარაღი ჰქონდა, ყველამ უმაღლესი შედეგი აჩვენა.


სულიკო თოფურია

ნაკრების მწვრთნელმა აღნიშნა, აგრეთვე, გათიკაევისა და თოფურიას კარგი გამოსვლა, რაც მოსალოდნელიც იყო, მალე კი ალბათ მათ გაუტოლდებიან თამაზ ბასილაძე, სერგო ბერიძე, დავით ლეკვეიშვილი, ასმათ დიასამიძე და სხვები.

მოკლედ, დამთავრდა რესპუბლიკური ტურნირი, რომელმაც მწვრთნელებს საშუალება მისცა, კიდევ ერთხელ გადაეხედათ რეზერვისათვის, რომლითაც უნდა დაკომპლექტდეს საქართველოს ნაკრები, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო თასის გათამაშების პირველ ეტაპში, შემდეგ კი, ალბათ, თურქეთში და იტალიაში იასპარეზებენ ქართველი მშვილდოსნები „ა" კატეგორიის ტურნირებში.

თუმცა, როგორც სპორტის მრავალ სახეობაში, ქართველ მშვილდოსნებსაც უჭირთ, ძირითადად ფინანსურად, ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ რომელიმე ორგანიზაცია იკისრებდა ნაკრების სპონსორობას. სამაგიეროდ, ჩვენი მშვილდოსნები სპონსორებს რეკლამის გაწევას ჰპირდებიან.


სერგო გათიკაევი

ვფიქრობთ, ეს წინადადება ორივე მხარისთვის ხელსაყრელი და მომგებიანი უნდა იყოს.

**ზაზა ციცკარიშვილი,**
**მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.**

---

## ინფორმაცია

**ბოკა-რეიტონი (აშშ).** ფლორიდის ამ ქალაქში გრძელდება „ვირჯინია სლიმზის" სერიის პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდია 500 ათასი დოლარი. კვლავ წარმატებით გამოდის გერმანელი შტეფი გრაფი და არგენტინელი გაბრიელა საბატინი. მორიგ ტურში გრაფმა დაამარცხა თანამემამულე ანკე ჰუბერი — 6:0, 6:1, ხოლო საბატინიმ მარტინა ვერდელი (აშშ) — 6:3, 6:0. წყვილებში მინსკელმა ნატალია ზვერევამ და ლვოველმა ლარისა სავჩენკომ მეორე ტურის შეხვედრაში დაამარცხეს ფრანგული დუეტი ალექსიუ დეში და მარი პიერსე — 7:5, 6:7 (8:10), 6:2. მეორე საბჭოთა წყვილი მედვედევა-ბრიუხოვეცი კი დამარცხდა ჯენიფერ კაპრიატისთან და ჯიჯი ფერნანდესთან (აშშ) — 5:7, 1:6. მესამე ტურის ერთეულთა თანრიგში ზვერევა დამარცხდა ჩეხოსლოვაკიელ რეგინა რაიხრტოვასთან — 3:6, 3:6.



**გუშინ** ვერის პარკში, „შევარდენის" კრივის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის რინგზე 26 სპორტსმენი ჩაება ქალაქის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. ასპარეზობის პირველი დღე ასეთი შედეგებით აღინიშნა: პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ზაზა გაბაძემ სძლია საკმაოდ გამოცდილ არამ ავდალიანს; არმიელმა დიმიტრი შურშაკოვმა, რომელსაც საერთაშორისო შეხვედრებში მრავალგზის უსახელებია თავი, მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა ოთარ თელიძესთან ორთაბრძოლაში; სპარტაკ ჰინჭარაული დამარცხდა ფოლად მამედოვთან; თეიმურაზ კეკელიძემ მეორე რაუნდში აიძულა მეტოქე შმაგი ფერაძე დანებებოდა; ასევე აშკარა უპირატესობით სძლია სპარტაკ პირველაშვილმა ლევან ლეჟავას; ხოლო დემირ ფასტიანმა ზურაბ ჯლამაძეს ქულებით აჯობა.

დღეს გაიმართება ფინალური შეხვედრები.

**სურათზე:** ზ. გაბაძისა და ა. ავდალიანის შეხვედრის მომენტი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

---

# სიახლის ძიება—წინსვლის ზიძგი

## მძლეოსნობაში ზამთრის პირველობების მიმოხილვა

სპორტში შედეგებთან ერთად, ისე სწრაფად ვითარდება მოვლენები, რომ სულ მცირე დროშიც იკვეთება სხვადასხვა მიმართულება, სიახლე. ყველაფერი ეს ნიადაგ ძიებაში მყოფთა ხვედრია. დიახ, დღეს თუ რაიმე სიახლეს არ დანერგავ, ისე შორს ვერ წახვალ.

სიახლემ (სპორტსმენთა რეიტინგები), რომელიც ორი წლის წინ მძლეოსნობის სპორტულ-მეთოდურმა გაერთიანებამ შემოგვთავაზა, საქართველოს სპორტსახკომის სრული სურათი მოგვცა იმისა, თუ რა კონტინგენტთან აქვთ მწვრთნელებს საქმე.

**— რა თქმა უნდა, ამჯერადაც ძირითად საზომად შედეგია მიჩნეული, — თქვა გაერთიანების მთავარმა მწვრთნელმა ე. გაგუამ, — მაგრამ რეიტინგის შემოღება თვალნათლივ გვიჩვენებს, სად და ვისგან უნდა ველოდეთ მაღალ მაჩვენებელს. მთავარი ის არის, რომ სარეიტინგო ათვლა, მთლიანად გამორიცხავს ემოციურობას, რის გამოც, ბევრ სპორტსმენზე ჩაგვიქნევია წინასწარ ხელი. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ამა თუ იმ სპორტსმენის პროგრესი, რომელსაც იგი თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევდა, დიდ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა მაღალი მაჩვენებლების ფონზე გამოკვეთილად არ ჩანდა, მაგრამ მას წინსვლა აშკარად ჰქონდა. ამის საილუსტრაციოდ შევარდნელი სტაიერის ოლეგ სოსლოვის მაგალითიც კმარა. თებერვლის პირველ რიცხვებში ვოლგოგრადში გამართულ საკავშირო პირველობაზე 1500 მეტრზე რბენაში მან მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. მართალია, ასეთი შედეგი მანამდე არ გვქონია, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი მაინც იმით იყო, რომ „თვალი დავიჭირეთ" ამ სპორტსმენზე, რომელმაც თვის ბოლოს, საკავშირო თასის გათამაშების ფინალშიც კი გაიკაფა გზა და მერვე ადგილზე გავიდა. ახლა უკვე სარეიტინგო ჩათვლაში შედის და იქიდან აღარ „ამოვარდება". მეორე სიახლე ისაა, რომ აღრიცხვაზე გვყავს ყველა სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი და მათ გამოსვლას, რა მასშტაბის შეჯიბრებაც არ უნდა იყოს, აღვრიცხავთ, ვითვლით მათ რეიტინგებს. ამ მხრივ, დღეს ასეთი მონაცემები გვაქვს. შარშანდელი ზამთრის სეზონში რეიტინგით დავაგროვეთ 2.110 ქულა, წელს — 2.860. შარშან ქულათა რაოდენობა 15 მძლეოსანზე მოდიოდა, წელს — 21-ზე. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ წელს რეიტინგთა სიას გამოაკლდა უძლიერესი ბირთვის მკვრელი ტარიელ ბიწაძე, რომელიც საერთოდ ჩამოსცილდა მძლეოსნობას და კარატეში გადაინაცვლა, არც ოლეგ სტრიჟაკოვი გამოსულა წელს დახურულ სარბიელზე, რადგან იგი ახლა მხოლოდ კროსში საასპარეზოდ ემზადება, რაც შეეხება ოლიმპიურ პრიზიორს მაია აზარაშვილს, მხოლოდ ერთხელ ვიხილეთ 60 მეტრზე სპრინტში, ახლა კი, იუგოსლავიაშია მივლინებული დიდი ხნით.**

**რეიტინგისტთა სიას შეემატება ახალი სახელები: სამმა ჭაბუკმა ამ ზამთარს პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის ნორმა. ესენი არიან: ბირთვის მკვრელი მერაბ ყურაშვილი (მწვრთნელი ყარამან საბანაშვილი, „მართვე"), სპრინტერი დიმიტრი ანტონოვი (ანატოლი დიმიტროვი) და სიგრძეზე მხტომელი ზურაბ ყიფიანი (ა. ანდრეევი, ორივე „შევარდენი").**

**ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ გაერთიანებამ შემოიღო სპორტსმენთა ვალდებულება, რომელსაც მთლად კონტრაქტს ვერ დაარქმევ, მაგრამ იგი მიახლოებით იგივეა, რადგან ამ პირობის შესრულებაზე ბევრადაა დამოკიდებული თვით სპორტსმენის ბედი. ვალდებულებით თარჯმრბენ ევგენი გორგაძეს 60 მეტრი 8,05 წამში უნდა გაერბინა, მისი წლევანდელი საუკეთესო დრო კი 8,11-ია. იგივე შედეგს გვპირდებოდა გელა ვეშაპიძეც, სინამდვილეში კი მხოლოდ 8,18-ს „მისწვდა". თამარ შანიძეს 60-მეტრიანი სპრინტერული მანძილი 7,44-ში უნდა დაეფარა, მისი საუკეთესო შედეგი კი 7,78 წამია. რა თქმა უნდა, ასეთი მაჩვენებლები განაპირობა ძირითადად იმან, რომ ჩვენი საწვრთნელ-მოსამზადებელი მუშაობა დღეს, რბილად რომ ვთქვა, სათანადო, თანამედროვე დონეზე ვერ დგას. ხელის შემშლელ პირობებს შორის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მძლეოსნები მოკლებულნი არიან სარეაბილიტაციო საშუალებებს, არ გვყავს მასაჟისტი, ექიმი, გვაკლია მედიკამენტები; გვიჭირს სპორტსმენთა ეკიპირება ფორმით, ალჭურვილობით და ეს მანამდე გაგრძელდება, ვიდრე არ გამოიკვეთება ჩვენი დამოკიდებულება მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციასთან. სხვა გზა დღეისათვის არ არსებობს.**

რაც შეეხება მძლეოსანთა კონტინგენტს, საიდანაც ველით შევსებას, აქ ასეთი მდგომარეობაა. შარშან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში 197 მონაწილეთაგან 19-მა შეასრულა მაღალი თანრიგი (5 ოსტატია, 10 ოსტატობის კანდიდატი, 4 პირველთანრიგოსანი), ხოლო 77-მა მეორე თანრიგის „ზღუდეები დასძლია". ეს ის დასაყრდენი ძალაა, რომელთანაც უნდა წარიმართოს მუშაობა და მისგან მაღალი კლასის სპორტსმენები უნდა მივიღოთ.

წლევანდელ შეჯიბრებებში 244 მონაწილეთაგან ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის მოთხოვნები შესრულა 60-მა (შესაბამისად, 4, 21, 35), 98 კი მეორე თანრიგს დაეუფლა. როგორც ხედავთ, აქაც გარკვეული წინსვლაა.

როცა სპორტის დედოფალზე, კერძოდ, კი მის თაყვანისმცემლებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მოზარდების გვერდის ავლა, რადგან მათ მომავლის „ამინდი" უნდა შექმნან. მოზრდილთაგან განსხვავებით, აქ სრული უკუსვლა შეინიშნება. შარშან 154 მონაწილეთაგან 5-პირველთანრიგოსანი, 65-მეორეთანრიგოსანი გახდა. წელს 164 მონაწილეთაგან 2 პირველ, 32 კი მეორე თანრიგს დაეუფლა. ასეთი მონაცემები მართლაც დამაფიქრებელია.

ორიოდე სიტყვა სპორტული ასპარეზობის ზეიმურ განწყობილებაზეც ვთქვათ. მას კვლავაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ეს არის თვით სარბიელის მომზადება შეჯიბრებისათვის, მისი სათანადო მორთვა და... სავსე ტრიბუნები, რაც ხშირად ზეაწეულ განწყობილებას უქმნის მოასპარეზესაც და მაშინ არც მაღალი შედეგი აყოვნებს. გაიხსენეთ, რომის „ფორო ოლიმპიკოს" სტადიონზე რობერტ შავლაყაძის შესანიშნავი ნახტომი. ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვებასა და თამაშების რეკორდის დამყარებაში, სარბიელზე შექმნილი საზეიმო განწყობილების წყალობით, შეასრულა, ჩემპიონი გახდა და ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა.

მაგრამ თუ სპორტსმენს რესპუბლიკური ჩემპიონატის დროსაც იმავე სარბიელზე უხდება გამოსვლა, სადაც მისი მზადების სადაგი დღეები მიმდინარეობს, თუ იმ მანეჟში ან სტადიონზე შეჯიბრებისათვის არაფერი შეცვლილა, თუნდაც ასპარეზობის წინ ეროვნული დროშა აღიმართოს, ალბათ, ესეც თავის საქმეს გააკეთებს. მაგრამ ჩვენში, რატომღაც ჩემპიონატის მომწყობნი არც ამაზე ფიქრობენ და ამიტომაც ის საზეიმო, საასპარეზო კლიმატი ვერ იქმნება. ეს კი, მნიშვნელოვან დაღს ასვამს მონაწილეთა გამოსვლებს.

**უშანგ ჭიჭინაძე**

---

# ფინალისტები: „კლირი" და „რეალი"

**გრძელდება** ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში.

**კორაჩის თასი.** გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებმაც გამოავლინა ფინალისტები. „კლირი" (კანუ, იტალია) — „მიულუზი" (საფრანგეთი) 64:54. პირველ მატჩშიც იტალიელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 85:82: „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „ხოვენტუდი" (ბადალონა, ესპანეთი) 80:74. პირველი მატჩი — 71:75.

ფინალში გავიდნენ: „კლირი" და „რეალი".

**ჩემპიონთა თასი.** გაიმართა მეთერთმეტე ტურის ერთი მატჩი — „კინგსტონი" (ინგლისი) — „ლიმოჟი" (საფრანგეთი) 96:77 (46:41). ათი ტურის შემდეგ ჯათამაშების ცხრილი გამოიყურება ასე:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" (ესპან.) | 10 | 9 | 1 | 19 |
| „პოპ-84" (იუგოსლ.) | 10 | 6 | 4 | 16 |
| „არისი" (საბერძ.) | 10 | 6 | 4 | 16 |
| „სკავოლინი" (იტალია) | 10 | 5 | 5 | 15 |
| „ბაიერი" (გერმანია) | 10 | 5 | 5 | 15 |
| „მაკაბი" (ისრაელი) | 10 | 4 | 7 | 15 |
| „კინგსტონი" (ინგლ.) | 11 | 4 | 7 | 15 |
| „ლიმოჟი" (საფრან.) | 11 | 2 | 9 | 13 |

## კლუბი 9,9

თუ ბენ ჯონსონს არ ჩავთვლით, რომლის შედეგი სეულის ოლიმპიადაზე სადოპინგო სკანდალის გამო გააუქმეს, მძლეოსნობის სტატისტიკოსები აღნიშნავენ 8 მორბენალის მაჩვენებლებს, 10 წამზე უფრო სწრაფი რომ გახლავთ 100 მეტრზე რბენაში:

9,92 — კარ ლუისი (აშშ). სეული, 1988 წ.

9,93 — კალვინ სმითი (აშშ). კოლორადო სპრინგსი, 1983.

9,94 — ლეროი ბარელი (აშშ). ჰიუსტონი, 1989.

9,95 — ჯიმ ჰაინსი (აშშ). მეხიკო, 1968.

9,96 — მელ ლატანი, (აშშ). ათენასი. (აშშ), 1984.

9,97 — ლინფორდ კრისტი (ინგლისი). სეული, 1988.

9,97 — რეი სტიუარტი (იამაიკა). ვაკო, 1989.

9,98 — სილვიო ლეონარდი (კუბა). გვადალახარა, 1977.

**რედაქტორი**
**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი. კორექტორები: ც. ჩიტიშვილი, ე. ხომერიკი.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. თბილისი, ი. კოსტავას ქ., 14. [illegible] ქარხნებზე, ხელმოწერები ქ. 29.